სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/72

ქ. თბილისი 22 მარტი 2019

დამატებით სემესტრში სასწავლო კურსის/კურსების განმეორებით გავლის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაკმაყოფილდეს სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ გ. არაბიძის შუამდგომლობა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებმაც დამატებით სემესტრებში ვერ ჩააბარეს აღებული სასწავლო კურსი/კურსები და რომლებსაც არ უსარგებლიათ ოთხი დამატებითი სემესტრით, მიეცეთ 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სასწავლო კურსის/კურსების განმეორებით გავლის უფლება;
2. პირველ პუნქტში მითითებულმა პირებმა სტუდენტის სტატუსის აღდგენის, გაგრძელების და/ან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე განცხადება წარმოადგინონ 2019 წლის პირველი აპრილის ჩათვლით;
3. სტუდენტებთან გაფორმდეს შესაბამისი სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებები;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე